Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-11-12 19:58

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 12 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

II ნაწილი
(ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა)

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია

თავმჯდომარე. ბატონო გიგი, დიდი მადლობა მობრძანებისათვის. როგორც თქვენთვის ცნობილია, შექმნილია საპარლამენტო კომისია, პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომელიც შეისწავლის აგვისტოს მოვლენებს. აქედან გამომდინარე, თქვენ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, მზად ხართ თუ არა მოგვაწოდოთ ინფორმაცია კომისიას და ითანამშრომლოთ კომისიასთან?

გ.უგულავა. პირველ რიგში, დიდი მადლობა მოწვევისთვის. ცხადია, საზოგადოებრივი ინტერესი აგვისტოში განვითარებული რუსული ოკუპაციის მიმართ არის ძალიან დიდი და მე, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, როგორც ქალაქის მერი, ასევე როგორც მოქმედი პოლიტიკოსი და სახელისუფლებო გუნდის ერთ–ერთი წევრი, მზად ვარ, ყველაფერს ვუპასუხო, ნებისმიერ შეკითხვას, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა და მივესალმები თქვენს მუშაობას. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ახლო პერსპექტივაში იმისთვის, რომ ჩვენ შევქმნათ კარგი პრეცედენტი იმისა, რომ დაიდოს ის დოკუმენტი, რაც ჩვენ მოგვცემს შესაძლებლობას წინსვლის, განვითარების, შეცდომების კარგად გათვალისწინების და შორეულ პერსპექტივაში ეს მოგვცემს ნორმალური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა, ბატონო გიგი. ჩვენს მიერ იქნება დასმული კითხვები, მუშაობის ფორმატი ასეთია და თქვენ ბლოკების მიხედვით გასცემთ პასუხებს და კითხვა–პასუხის რეჟიმში ვიქნებით.
ბატონო გიგი, თქვენ ხართ ქალაქის მერი, აგვისტოს მოვლენები, რომელიც იყო შექმნილი, რაც მოხდა, რა თქმა

უნდა, აქ არ არის განცალკევება ამასთან დაკავშირებით, თითქოს ყველა პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იყო ჩართული ამ მიმართულებით. თქვენ, როგორც ქალაქის მერი და იყო დიდი საშიშროება ქალაქ თბილისის წინააღმდეგ განხორციელებულიყო ქმედებები რუსეთის აგრესორთა მიერ, ჩვენ ამ თემაზე ვისაუბრეთ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მინდა გკითხოთ, თქვენი მოწვევის ყველაზე მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ მედიის საშუალებებით ცალსახად ჩანდა, რომ თქვენ აქტიურად იყავით ჩართული ამ სისტემაში, კერძოდ, კი აგრესორთა, აგრესორის შეჩერების სისტემაში და მონაწილეობდით, იმყოფებოდით გორში. საზოგადოებაში გაჩნდა ასეთი კითხვა, რომ თქვენ, როგორც ქალაქის მერი, ერეოდით თუ არა იმ შტაბის მუშაობაში, რომელი შტაბიც იყო შექმნილი. საუბარი არის სამხედრო შტაბზე, რომელიც შექმნილი იყო ქალაქ გორში? ეს პირველი.
თქვენ უშუალოდ ღებულობდით თუ არა გადაწყვეტილებებს სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით? მესამე, თქვენ გააკეთეთ განცხადებები, მაშინ ცნობილი პოლიტიკური თქვენი განცხადებები. თქვენ ეს განცხადებები გააკეთეთ პირადი ინიციატივის საფუძველზე თუ მიიღეთ გარკვეული დავალება და რა სახის დავალება იყო ის? გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა აღნიშნა, მე ამას ხაზი მინდა გავუსვა, რომ მან მიაწოდა ...ინფორმაცია თურმე მთავარსარდალს, ქვეყნის მთავარსარდლის ბრძანებით, თქვენ გააკეთეთ ეს განცხადებები. აი ეს ისტორია რომ მოყვეთ, რა ხდებოდა ამ სიტუაციაში?
შემდგომი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, რომ ღიად ჩანდა უკვე, რომ თქვენ აწარმოებდით მარტო ლოჯისტიკას. ამით მე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ თქვენ ნახეთ, რომ სისტემამ არ იმუშავა. ამიტომ აიღეთ თქვენ თავზე, რომ აქ ყველა ვალდებულია იმუშაოს ამ მიმართულებით და გაუწიოს სახელმწიფოს დახმარება, ამიტომ აიღეთ თქვენ თავზე გარკვეული ფუნქციების განხორციელება, რომელიც თქვენს კომპეტენციაში არ შედიოდა, თუ ეს იყო ვინმეს მხრიდან დავალება მოქმედების, ამასთან დაკავშირებით, ...ის საფრთხე, რომლის წინაშეც იდგა თბილისი. თქვენ, როგორც ქალაქის მერმა, რა გეგმა შეიმუშავეთ, ამ საფრთხიდან თავის ასარიდებლად? რა ღონისძიებები იყო დაგეგმილი ქალაქთან დაკავშირებით? აქ არის, ჩვენ გვქონდა წინა ....საუბარი, სამოქალაქო თავდაცვის სისტემაზე. ამას მერე თამამად ჩავუღრმავდებით, მაგრამ კონკრეტულად თუ არსებობდა აგრესიის შემდგომ, აქ არის საუბარი 9-ში, როცა გამოჩნდა აგრესია, ღია აგრესია, რაც გახდა საშიშროება თბილისზე წამოსვლის. 11 რიცხვში შემუშავებული იყო თუ არა სისტემა, სისტემა მოქმედების მუნიციპალიტეტის და გარკვეული სტრუქტურების, რომელიც არის თქვენი კომპეტენციის ქვეშ? ნუ, ეს შეკითხვებია. თუ დამატებითი შეკითხვაა და შემდგომ უკვე.

——————დავაზუსტებ შეკითხვას. რა კომპეტენციები გქონდათ თქვენ გორთან მიმართებაში და რა კომპეტენცია გქონდათ თბილისში და როცა თბილისი დადგა უშუალო საფრთხის წინაშე აგრესორის მხრიდან, რა ზომებს იღებდით და, გარდა ამისა, როგორ შეაფასებთ აი ამ ძალიან კრიზისულ ვითარებაში ქალაქის სამსახურების და ქალაქის მთავრობის მუშობას სხვადასხვა მიმართულებით ანუ ქალაქის სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფის მიზნით აგრესიის საფრთხის წინაშე.

გ.უგულავა. დიდი მადლობა. თქვენის ნებართვით მე მაშინ ქრონოლოგიურად გავყვები. იმიტომ, რომ შეიძლება ეს ეტაპობრივად, ბუნებრივია, ე.ი.

თავმჯდომარე. ბატონო გიგი, თქვენ შეგიძლიათ შეკითხვები არიოთ და ... მოგვიყვეთ როგორც არის.

გ.უგულავა. ქრონოლოგიურად მოვყვები მაშინ ყველაფერ იმას, რაც მე ვნახე, რისი მომსწრეც ვიყავი. ალბათ, იმაზე მე არ დავიწყებ საუბარს ჩემმა კოლეგებმა უკვე ისაუბრეს, რომ რუსული აგრესია არ დაწყებულა იმ დღეს. უბრალოდ მან 7–ში უკვე მიიღო ღია ხასიათი, ხოლო 9–ში უკვე პირდაპირი სამხედრო აგრესიის სახე ჰქონდა. პირველი ინფორმაცია მე იმის შესახებ, რომ სიტუაცია იყო უკიდურესად დაძაბული, მივიღე 6–ში ჯერ კიდევ, სხვათა შორის, ესეც მიუთითებს ძაან ბევრი ადამიანი, თქვენ ამაზე განცხადებაც გააკეთეთ, ქალაქიდან და ქვეყნიდან იყო გასული, ეს აგვისტოს პერიოდი იყო, მეც არ ვიყავი თბილისში, მეც ჩამოვედი 6–ში, 5–დან 6–ის ღამეზე.

თავმჯდომარე. მაშინ დავაზუსტებ ერთ მომენტს, რომ საზოგადოებაში არ იყოს შეკითხვები, ზუსტად ის სია, რომელიც იყო გამოქვეყნებული, იყო ასეთი თქმული, რომ ბატონი უგულავა არ არის სიაში და ეს თითქოს და რაღაც მანიპულაციის საკითხია, მე ცალსახად, მინდა ცალსახად ხაზი გავუსვა, რომ ის წერილი, რაც გააგზავნა კომისიამ 7 რიცხვიდან 14 რიცხვამდე. ამიტომ 6 რიცხვის **მონაცემები არ იყო.**

გ.უგულავა. მე აქ თუმცა მაგაზე დავაზუსტებდი. იქ ერთ, ესე ვთქვათ, ქვაბში იყო მოხარშული, რაც მე მგონი, ტექნიკური ლაფსუსი არის პირები, რომლებიც დაბრუნდნენ. მანამდე გავიდნენ და დაბრუნდნენ და ის პირები, რომლებიც მაგ პერიოდში გავიდნენ და დაბრუნდნენ ან მაგ პერიოდში გავიდნენ და შემდეგ უკვე დაბრუნდნენ.

თავმჯდომარე. არა, მე თქვენს საკითხს ვაზუსტებ, რაც შეეხება სხვა საკითხებს მინდა ხაზი გაუსვა იმას რომ კითხვა რომ იყო ვინ გადაკვეთა საზღვრები, ის ინფორმაცია რაც ჩვენ მივიღეთ შესვლა–გამოსვლასთან დაკავშირებით, ჩვენ ვაცნობეთ საზოგადოებას, რომ რა ფორმითაც მოგვაწოდა საზღვრის დაცვის

დეპარტამენტმა ხვალ ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიას ექნება მუშაობა, ეს კომისიის კომპეტენციაა, მე ხაზი გაუსვი მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ლაფსუსები კომისიის მხრიდან დაშვებული არ იყო, ეს საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა გადმოგვცა ეს სია, მე ხაზი გაუსვი იმას რომ საზოგადოებაში შეიქმნა ასეთი აზრი, თითქოსდა კომისიამ არ გამოაქვეყნა, პირობითად ვლაპარაკობ, თქვენ რომ ... იმიტომ უსვამ ამას ხაზს, რომ თქვენ 6 რიცხვში დაბრუნდით და კომისიის წერილი იყო 7– დან 14 რიცხვამდე.

გ. უგულავა. თუ არ ჩავთვლით სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარს მე არ გადამიკვეთია ამ პერიოდში ნამდვილად. და ეს მე როგორც კი ჩამოვედი გავიგე, რომ პირველი შეხვედრა უკვე ღამე შევხვდი პრეზიდენტს, ეს იყო ღამის 3 საათი, სადაც ვსაუბრობდით ამაზე და დაიგეგმა რომ ის პირები, ვინც თბილისში ვიყავით დღის პირველ საათზე შევიკრიბებოდით. დღის პირველ საათზე მოხდა ასე რა თქმა უნდა შეკრება, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ...

თავმჯდომარე. ეს 7 რიცხვში ბატონო გიგი.

გ. უგულავა. დიახ, 7 რიცხვში პირველ საათზე, დღის პირველ საათზე სადაც შინაგან საქმეთა მინისტრმა პრეზიდენტს და ჩვენ ყველას იქ მყოფთ გვითხრა, თუ რა ვითარება იყო სამხრეთ ოსეთში, კერძოდ რომ გადაადგილება შეინიშნებოდა როკის გვირაბიდან აქეთ ჩვენს მიმართულებით ტექნიკის, თუმცა იმ მომენტისთვის ძნელი იყო დაზუსტება ვინ იყო, რა შემადგენლობა იყო, იყო ეს რეგულარული ჯარი თუ ასე შემდეგ. ბუნებრივია, ამისათვის იყო საჭირო გარკვეული დრო დამატებითი ინფორმაცია, ჩართული იყო ბუნებრივია ინფორმაციის მოძიებაში ყველა შესაძლო არხი, რაც კი შეიძლება ყოფილიყო დახურული თუ ღია წყაროები და შესაბამისად ასე ვთქვათ, პირველი სიპტომი იმისა რომ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბებოდა იყო სწორედ იმ დროს, მაშინ ქვეყნის ხელმძღვანელობის გარკვეული ნაწილი თბილისში არ იმყოფრბოდა და ბუნებრივია მერე ჩვენ დავიწყეთ დაკავშირება და სხვადასხვა პირებთან, იმისათვის რომ ჩამოსულიყვნენ , ესე ჩამოვიდა რამდენიმე ჩვენი კოლეგაც მათ შორის თქვენი კოლეგებიც რამდენიც, სხვათა შორის მინდა აღვნიშნო, რომ დაგეგმილი იყო და შემდეგ ამის გამო პრეზიდენტმა გადადო ბუნებრივია იმ ღამეს გაფრენა ჩინეთში, იცით, რომ ოლიმპიადა იწყებოდა მეორე დილას გამთენიისას, ვიზიტი დაგეგმილი იყო, ისე როგორც იქ იკრიბებოდა მსოფლიოს ყველა წამყვანი ლიდერი და სხვათა შორის იქ ამაზეც ვკამათობდით, ღირდა თუ არა წასვლა იმისათვის, რომ ჩვენ, იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ პრეზიდენტს მაღალ დონეზე იქ, პირდაპირ შეხვედრებისას გაეჟღერებინა, რომ გვაქვს სახეზე რუსეთის მხრიდან ღია აგრესია, მაგრამ საბოლოო ჯამში პრეზიდენტმა, ჩემის აზრით, მართებული გადაწყვეტილება მიიღო იმისათვის, რომ დარჩა, რადგან დღის განმავლობაში ჩვენ ვხედავდით, რომ სიტუაცია კიდევ უფრო მეტად მწვავდებოდა. არსებობს მუდმივად შეკითხვა, ყოველ შემთხვევაში, მე რამდენჯერმე ეს მოვისმინე, რომ რატომ ვესწრებოდი მე. უშიშროების დაბჭოს ჰყავს ფიქსირებული წევრები თანამდებობიდან გამომდინარე, თუმცა უშიშროების საბჭოზე ეს, ამას, მისი რეგლამენტიც ითვალისწინებს, ნებისმიერი პირი შიძლება და ასევე თანამდებობის პირი და მე რეგულარულად ვესწრები ხოლმე უშიშროების საბჭოს სხდომებს იმ პერიოდშიც და ბუნებრივია, მანამდეც და მის შემდეგაც.

თავმჯდომარე. პრეზიდენტს აქვს უფლება მოიწვიოს ნებისმიერი თანამდებობის პირი, თქვენ იმყოფებით, როგორც მოწვეული პრეზიდენტის მხრიდან, ამას გავუსვასმთ, . . . გმადლობთ. დიახ.

გ.უგულავა. დიახ. შემდეგ უკვე ხდება შეკრება დათო ტყეშელაშვილთან ერთად გუბერნატორების, რომელსაც ესწრება ასევე მინისტრი, მერაბიშვილი, სადაც უკვე ჩვენ ვსაუბრობდით ყველა რეგიონის, იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მომხდარიყო. სიტუაცია საათობრივად მძიმდებოდა იმიტომ, რომ შემოიოდა უკვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იბომბებოდა სოფლები. იმის შესახებ, რომ ტექნიკა შემოდიოდა. ბუნებრივია, ძაან ჭირდა დაზუსტება. ესე ადვილი ეს არ არის ეხლა, მაინცდამაინც დაზვერვის იმას ვერ დავაბრალებდით, რომ ეხლა ზუსტად რომელი შემადგენლობაა, რა არის, რომელი ნაწილია. ამის დადგენა მართლაც რთული იყო, თუმცა ფაქტი სახეზე იყო და ეს სიტუაცია, მერაბიშვილმა გააცნო ყველა გუბერნატორს და მოუწოდა იმისკენ, რომ ერთი, პირვე რიგში, რომ ყველა ყოფილიყო თავის ადგილას, სამუშაო ადგილას, მეორე, რომ სრული მობილიზაცია ყოფილიყო ყველა სტრუქტურის ადგილზე, მათ შორის მზად ყოფნა ყოფილიყო, საჭიროების შემთხვევაში, რეზერვისტების, ესე ვთქვათ, დაბარებისა და გამოცხადების. მოგეხსენებათ, ეს ადგილობრივი თბითმმართველობების და მართველობის ფუნქციაა რეზერვისტების მიყვანა დანიშნულების ადგილამდე. შემდეგ უკვე მას იბარებს მთლიანად თავდაცვის სამინისტროს ეროვნულუ გვარდია და უკვე მათ, ესე ვთქვათ, განკარგვაში გადადის ეს შენაერთი. ამის შემდეგ, ჩვენ და მაშინ მოხდა ჩემი პირველი გამგზავრება გორში. დათო ცალკე გაემდზავრა და ლადო ვარძლაშვილი,

თავმჯდომარე. ჯერ სიები, დავაზუსტოდ.

გ .უგულავა. მე ვსაუბრობ ჯერ 7–ზე.

თავმჯდომარე. 7–ზე

გ.უგულავა. ანუ როგორ იწყებოდა ეს ყველაფერი და ვთქვათ რატომ იმიტომ, რომ შეკითხვა ერთ–ერთი იყო თუ რატომ ვიყავი გორში, იმ მომენტში და პირველი ჩასვლა ეს იყო უკვე საღამო ეს, იყო უკვე საღამო და ამ დროს უკვე სიტუაცია უკვე უკიდურესად დაძაბული იყო, ეს იყო დაახლოებით ის პერიოდი როდესაც პრეზიდენტმა ცალმხრივად ტელევიზიით მოუწოდა ოსებს ცეცხლის შეწყვეტისკენ ეს იყო 7–ში , თუ არ ვცდები, რომელი საათი იყო ზუსტად ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ მე თვითონ არ მიყურებია მაგ დროს, უკვე გზაში ვიყავი გორში, და ჩვენ იქ, ჩემი ჩასვლის მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ ერთად გაგვეარა გართულების შემთხვევაში რა ღონისძიებები იყო საჭირო. რატომ მე ამ შემთხვევაში ორი რამის გამო იყო ამის შესახებ, პრეზიდენტის დავალება ერთი და მეორე ძირითადი რესურსები სამოქალაქო რესურსები მაინც თავმოყრილია თბილისში, მე ვგულისხმობ ავტობუსებს, მე ვგულისხმობ სასწრაფოებს, მე ვგულისხმობ სახანძრო სამაშველო მანქანებს და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ, აქედან გამომდინარე ყველა შემთხვევაში ნებისმიერ ფედერალურ უწყებას თუ
ადგილობრივ უწყებას აუცილებლად დაჭირდებოდა თბილისის
მერიის რესურსების გამოყენება თბილისის რესურსების ესე, ვთქვათ გამოყენება სწორედ ამიტომ
მეც მათთან ერთად ვიყავი იქ და ჩვენ ვგეგმავდით თუ რა აუცილებელი

თავმჯდომარე. დავაზუსტოდ გორში, სამხედრო შტაბზეა საუბარი თუ ცალკე შტაბზე.

გ.უგულავა. არა, არა, ეს მე ვსაუბრობ წმინდა სამოქალაქო

თავმჯდომარე. და სად, იყო ეს განლაგებული და

გ.უგულავა. ეს ჯერ შტაბზე ლაპარაკი ზედმეტია ამ ეტაპზე მაგ დროისთვის, ეს ჩვეულებრივი შეხვედრა იყო გუბერნატორის კაბინეტში, ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული სამოქალაქო მიმართულებით ჩვენ ვაყალიბებდით რა შეიძლება დაგვჭირვებოდა რა ღონისძიებები იქნებოდა გასატარებელი და ასე შემდეგ, ისევ ვიმეორებ ამ დროისთვის ჯერ არ არი, ღია სამხედრო მოქმედებები დაწყებული თუმცა .... მთელი დღის განმავლობაში მიდის დაბომბვა იქითა მხრიდან და შესაბამისად ცალკე, ჩვენ მაინც იმედი გვქონდა , რომ საერთაშორისო ზეწოლით იმის გამო, რომ პრეზიდენტმა ცალმხრივად მოუწოდა გარკვეულწილად შეჩერება მაინც მოხდებოდა რამდენიმე დღის ტაიმ–აუტის აღება. მოგეხსენებათ ეს პერიოდი იყო ..... ოლიმპიადა საერთოდ აგვისტოში , ნებისმიერი უცხოეთში, რომ ნახოთ ვერც ერთ საჯარო დაწესებულებაში რიგით თანამშრომელს ვერ იპოვი არათუ მაღალ თანამდებობის პირს, ძაან რთულია ყოველთვის ასეთი კომუნიკაცია და ძაან მნიშვნელოვანი იყო ,
ჩემთვის ყველასთვის დროის მოგება, დროის მოგება. ეს საერთაშორისო ფრონტზე ამ ძირითადად, ალბათ, ამაზე, ისაუბრა მე ამაზე, აღარ ვისაუბრებ ბატონმა ლომაიამ, და ქალბატონმა ეკა ტყეშელაშვილმა, რომლებიც ძირითადად უფრო აი, მაგ დღეებში საგარეო მიმართულებაზე მუშაობდნენ. ამის შემდეგ უკვე საღამოს ხდება დადასტურებული ინფორმაციის მიღება, რომ სახეზეა საქართველოს ტერიტორიაზე პირდაპირი ინტერვენცია, რომ უკვე სახეზეა ის, რომ რეგულარული ჯარია და აქ არავითარი სამშვიდობოს როტაცია არ ხდება. მე დამავიწყდა მეხსენებინა შუადღის განმავლობაში იაკობაშვილი იყო ჩასული, თუმცა იქაც, და მანაც დაადასტურა და ისაუბრა ამის შესახებ, თუმცა შედეგი არ იყო ის, რაც ჩვენ გვინდოდა. ანუ ყველა ნიშანი იყო იმისა, რომ საქართველოზე მზადდებოდა, მე აღარ დავარქმევდი ამას პროვოკაციას იმიტომ, რომ ამ სიტყვას ძალიან ხშირად ვხმარობთ ხოლმე შეიძლება მართლზომიერად, მაგრამ საკმაოდ გაცვეთილია უკვე ეს სიტყვა, ეს აღარ იყო უკვე პროვოკაცია, ეს იყო უკვე ღია ინტერვენცია. პროვოკაციაა, როცა მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს შენს, ასე ვთქვათ, წამოკიდებას, მაგრამ აქ წამოკიდებაზე აღარ იყო უკვე ლაპარაკი, აქ უკვე ღია ინტერვენციაა, ჩვენ ვიყავით საფრთხის წინაშე იმის, რომ მომხდარიყო ქართული სოფლების გაწმენდა, სრული გაწმენდა და შესაბამისად ამისა, უკვე იმის მიხედვით, თუ რა დოზით გაუვიდოდა შემდეგი მოქმედებები. იქნებოდა ეს გორზე თუ თბილისზე წამოსვლა თუ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში დარჩენა, ამის პროგნოზი იქ, პრაქტიკულად, იმ დროს შეუძლებელი იყო. ტექნიკა რაც იყო, საკმაოდ დიდი რაოდენობა შემოდიოდა, თუმცა ძირითადი შემდეგ უკვე ზღვასავით წამოვიდა უკვე 9–ის მერე, მაგრამ საკმარისზე მეტი იყო იმისათვის, რომ მხოლოდ გვევარაუდა,რომ ქართული სოფლების გაწმენდას ქართული მოსახლეობიდან აპირებდნენ. ერთ–ერთი, ბუნებრივია, პირველი, ასე ვთქვათ. მინიმალური მიზანი, ალბათ, ეს იქნებოდა. თუმცა იმ დროს, ისევ ვიმეორებ, ეს ყველაფერი ვარაუდის დონეზე, ამას ესე ფაქტობრივად ვერავინ ვერ დაადასტურებდა. სწორედ ამის მერე პრეზიდენტისგან მიიღო თავდაცვის სამინისტრომ და გენერალურმა შტაბმა ბრძანება, ეს იყო უკვე 12–ის ნახევარზე, იმისათვის, რომ სამი ძირითადი ამოცანა შეგვესრულებინა. შეგვეჩერებინა რუსის ჯარი, რომელიც მოდიოდა ქვეყნის შიგნით შუაგულსკენ, ჩაგვექრო უნდა საცეცხლე წერტილები, საიდანაც იბომბებოდა ჩვენი სოფლები, ქართული სოფლები და მაქსიმალურად თავიდან აგვეცილებინა სამოქალაქო მსხვერპლი და ზარალი სამოქალაქო მოსახლეობაში. ხაზს ვუსვამ, ორივე მხარეს, რადგან ჩვენ დღესაც მათ ხალხს, ბუნებრივია, ამაზე არავინ არ კამათობს, იქ მაცხოვრებელ სამოქალაქო მოსახლეობას განვიხილავთ საქართველოს მოქალაქეებად. მე ამას ხაზს ვუსვამ სწორედ იმიტომ, რომ შემდგომში უკვე აი ის შეკითხვა, რომელიც თქვენ, ბატონო პაატა,

ბრძანეთ ჩემს განცხადებასთან დაკავშირებით, დროებით ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით, სწორედ აი ამ მესამე მიმართულებას უკავშირდება. მე მაშინ გადმოვალ ამ თემაზე და შემდეგ, მერე ქრონოლოგურად მივყვები.

თავმჯდომარე. ბატონო გიორგი, მე დავაზუსტებ ერთ საკითხს. თქვენ სანამ მოგვახსენებთ იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც ეხება განცხადებას, კარგად რომ ჩანდეს, სად ხდებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება. ვთქვათ, ეს გუბერნატორის, თქვენ აღნიშნეთ, რომ გუბერნატორის შტაბ-ბინაში ხდებოდა აკუმულირება სამოქალაქო მიმართულების, და გავმიჯნოთ ეს. იყო კოორდინირებული გენერალურ შტაბთან თუ, ასე ვთქვათ, დიახ, ამას რომ გაუსვათ ხაზი.

გ.უგულავა. ეს, მოგეხსენებათ, თავიდან საერთოდ, იმას, რაზეც მე ვისაუბრე, არაფერი კავშირი აქვს სამხედრო შტაბთან. სამხედრო შტაბი საერთოდ სხვაგან მდებარეობდა, ამაზე გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ისაუბრა. მე თვითონ ამ სამხედრო შტაბში ვარ ერთხელ 5 წუთით ნამყოფი, ისიც, არა განხილვის დროს, არამედ იმ წუთას მნიშვნელოვან საქმეზე არ იყო, უბრალოდ 5 წუთი იყო, სადღაც ღამე იყო, გვიან, ნამყოფი. მეტი იმ სამხედრო შტაბში მე თვითონ არ ვარ ნამყოფი. იმ შტაბში, ძირითადად, გოგავა იმყოფებოდა იმ შტაბში და გოგავა იყო ერთგვარი, ასე ვთქვათ, ბუნებრივია, ის ხელმძღვანელობდა სამხედრო მოქმედებებს და ამავდროულად გოგავა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობის შესახებ საქმის კურსში აყენებდა, მინისტრს, უშიშროების საბჭოს სხვა წევრებს, პრეზიდენტს და ა.შ. მაგრამ ეს რამდენად დახურული ინფორმაციაა, მე არ ვიცი, მაგრამ ეს შტაბი საერთოდ გორშიც არ მდებარეობდა, იქვე იყო, მაგრამ არა გორში. მაგრამ ეს სხვა საკითხია აბსოლუტურად.

რაც შეეხება თვითონ სამოქალაქო, ასე ვთქვათ, შტაბს, თავიდან, ბუნებრივია, ეს იყო გუბერნატორის სამოქმედო არეალი, სამუშაო ცენტრში და ყველაზე ხელმისაწვდომი, ასე ვთქვათ, ადგილია, თუმცა, მერე, როდესაც უკვე დაიწყო გორის დაბომბვა, ერთ ადგილას გაჩერება არ შეიძლებოდა. ამიტომ, პრაქტიკულად, ასე ვერც იტყვი, რომელიმე ადგილას თუ იყო შტაბი იმიტომ, რომ ყოველ 2 საათში ჩვენ ჩვენს, ასე ვთქვათ, ლოკაციის ადგილს ვიცვლიდით გასაგები მიზეზების გამო. ხან ეს იყო პოლიციის სამმართველოს შენობაში, ხან ეს იყო გუბერნატორის შენობაში, ხან ეს იყო სხვა საჯარო დაწესებულებაში. რამდენჯერმე ჩვენ გვქონდა შეხვედრა, ასევე, ჩვეულებრივ ისეთ ბინაში, სადაც კონსპირაციულად, სადაც ეს ელემენტარული უსაფრთხოების ნორმებია, რომელთა დაცვა აუცილებელი იყო იმ პირობებში, ვინაიდან გორზე დაბომბვა რამდენჯერ განხორციელდა თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ 10–ჯერ უფრო მეტი იყო, ასე ვთქვათ, სამანევრო ფრენები, რომელიც ყველაზე მეტად მოსახლეობისთვის ფსიქოლოგიურად იყო დამთრგუნველი. ამიტომ რამდენჯერ ძირითადად ხდებოდა გადაადგილება, ეს უკვე შემდგომ პერიოდში.
რაც შეეხება სამოქალაქო მოსახლეობას და ამას, ამ მონაკვეთს მაშინ ეხლა გიამბობთ. ეს იყო უკვე, თუ არ ვცდები, 9 რიცხვი როდესაც საომარი მოქმედებები არის თავის პიკში და ჩვენთან მოვიდა ბატონი დიმიტრი სანაკოევი, რომელმაც ასეთი ინიციატივით მოგვმართა, რომ მას უკავშირდებოდა ძალიან ბევრი ადამიანი, ოსი, ქართველი, ასევე ამას ადასტურებდა ადგილობრივი ხელისუფლება, არა დროებითი ადმინისტრაცია, არამედ ადგილობრივი ხელისუფლება და ეს ისედაც ჩანდა, რომ საომარმა მოქმედებებმა ძაან ინტენსიური ხასიათი მიიღო და საჭირო იყო გარკვეული კორიდორის შექმნა იმისათვის, რომ ვინც დამტოვებელი იყო იმ ადგილის ,დაეტოვებინა და ჩვენ ამისთვის ხელი შეგვეწყო.
ეს ინიციატივა მოდიოდა დიმიტრი სანაკოევისაგან. მან ეს ჩვენ გვითხრა, მე და მერაბიშვილს. ამის შემდეგ ჩვენ დავუკავშირდით პრეზიდენტს და ამის შესახებ ეს ინფორმაცია მივაწოდეთ, რის შემდეგადაც, ნახევარი საათის შემდეგ, პრეზიდენტმა, ასე ვთქვათ, ტაიმაუტი აიღო. მან, მე რამდენადაც ვიცი, შემდეგ სხვადასხვა წევრებთან კონსულტაცია გაიარა. ამას, სხვათა შორის, მუდმივად ითხოვდნენ ადგილობრივი, ასე ვთქვათ, საერთაშორისო ორგანიზაციებიც, მათ შორის. იმიტომ, რომ რამდენჯერმე იყო მოთხოვნა, იგივე, იაკობაშვილის ოფისიდან, რომ იქ ადამიანი ჩარჩა ან წამოსაყვანია და ა.შ. ასეთი საკითხები მუდმივად ტივტივდებოდა და პრეზიდენტმა შემდეგ უკვე ცალკე გოგავას დაავალა შესაბამისი ღონისძიებების მიღება და ცალკე გადმომირეკა. იმიტომ, რომ მაშინ, მოგეხსენებათ, ტელეფონზე დარეკვა ძაან ჭირდა და ვინმეს ტელეფონზე თუ გახვიდოდი, ყველასთან მერე იმ ტელეფონით უნდა გელაპარაკა, თორემ ძაან რთული იყო კომუნიკაცია სამოქალაქო პირებს შორის და გადმორეკა ჩემს ტელეფონზე და მითხრა, რომ გაგვეკეთებინა. ეს იყო სადღაც, თუ არ ვცდები, დაახლოებით პირველი საათი, პირველიც არ იყო და ჩვენ სპეციალურად გადავწყვიტეთ, რომ ეს 3 საათზე გამოგვეცხადებინა უკვე და დრო ყოფილიყო რომ სამიდან, ვთქვათ ექვსამდე ან ხუთამდე ეს პერიოდი გამოგვეყენებინა ამისათვის. განცხადება, რომელზეც თქვენ მკითხეთ თუ რატომ გავაკეთე მე, ეს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ალბათ, ორი რამის გამო, თუ ვინ გაახმოვანებდა ამას არსებითი მნიშვნელობა საბოლოო ჯამში არ ჰქონდა. თუმცა ვფიქრობ, აქ რამდენიმე არგუმენტია, თუმცა მთავარი დეტალი არის იქ ამასთან დაკავშირებით ორი, რომ განცხადება – პირველი, პირდაპირ ეთერში მედიაცენტრიდან უკვე გორის მედიის ცენტრიდან პირდაპირ ჩართვაში გააკეთა ჯერ დიმიტრი სანაკოევმა ოსურად და რუსულ ენაზე და შემდეგ უკვე ქართულ ენაზე. ვინაიდან ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ეს შეთავაზება ვრცელდებოდა არა მარტო, არა მარტო ქართულ მოსახლეობაზე, არამედ ოსურ მოსახლეობაზეც. შესაბამისად, აუცილებელი იყო მათდამი, ასე ვთქვათ, მიწვდენა. ჩვენ სპეციალურად ორი საათით ადრე ეს გავაკეთეთ რამდენიმე მიზეზის გამო იმიტომ, რომ ეს ორი საათი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ხმა მიგვეწვდინა სხვა საშუალებებითაც. მოგეხსენებათ, მაშინ ნახევარზე მეტ ცხინვალში დენი

უკვე გათიშული იყო, ამიტომ მაინცდამაინც იმისი იმედი, რომ ტელევიზიით გაიგებდნენ ამ ინფორმაციას ამის ბოლომდე, ამის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. ანალოგიური განცხადებები კეთდებოდა მერე რეგულარულად. სამ საათამდე რადიო იმეორებდა, რადიოსაშუალებები და ასევე სხვა და სხვა არხებით, რომელიც თვითონ სანაკოევს გააჩნდა, ხდებოდა ამ ინფორმაციის მიწოდება. ამიტომ სპეციალურად ჩვენ რამდენიმე პერიოდი არ ...
რატომ გავაკეთე მე ეს განცხადება გითხარით, იყო პრეზიდენტის დავალება და არსებითი განსხვავება რომელი, ვთქვათ, პოლიტიკური ფიგურა ამას გააკეთებდა, ამას არსებითი, ესე ვთქვათ, მნიშვნელობა იმ მომენტში არ ჰქონდა.

---------- დავაზუსტებ. დაგვიანების საკითხი, ვთქვათ, მორატორიუმის, პრეზიდენტის გადაწყვეტილება იყო ხომ, დრო, თუ იქვე გადაწყდა?

გ.უგულავა. არა, მე მოგახსენებთ. დრო ის, მე რაც მოვყევი, საუბარი იყო სადღაც დაახლოებით 12, პირველი საათის ფარგლებში თუ არ ვცდები და თუ არ ვცდები, სპეციალურად ჩვენ ავიღეთ ტაიმაუტი იმისათვის, რომ და, დრო, რაც შეეხება, გადაწყდა იმისათვის, სამიდან თუ არ ვცდები 5-მდე თუ 6-მდე იყო – ზუსტად არ მახსოვს.

---------- ვინ გადაწყვიტა ეს პრეზიდენტმა თუ

გ.უგულავა. ეს გადაწყვიტა პრეზიდენტმა და პრეზიდენტისვე თხოვნა იყო, რომ ტაიმაუტი აგვეღო, რომ სხვადასხვა საშუალებებით ჩვენ შეგვეძლო შეგვძლებოდა ინფორმაციის მიწოდება. პარალელურად მეც ვითხოვე გარკვეული დრო იმისათვის, რომ ავტობუსების მობილიზაციისთვის. ავტობუსები, ძირითადად, მაშინ გამოყენებული იყო მოგეხსენებათ, რეზერვისტების გადაადგილებისთვის და ვითხოვე დრო იმისათვის, რომ ერგნეთთან ან მიმდებარე სოფლებში ჩვენ შეგვძლებოდა ავტობუსების მიყვანა.

თავმჯდომარე. ბატონო გიგი, მე აქვე, ამ თემაზე, მე არ დავუბრუნდი. ამიტომ ერთ საკითხს დავამატებ, საზოგადოებაში არის ესეთი განცდა, ახლა, პრინციპში, თქვენ შეიძლება ეს შეკითხვა იმდენად არ გეკუთვნით, მაგრამ თქვენი აზრი მნიშვნელოვანი არის. ამ მორატორიუმმა, რომელიც გამოცხადდა ჩვენ ეს კითხვა გენერალურ შტაბსაც დაუსვით და დაუსვამთ თავდაცვის მინისტრსაც და პრეზიდენტსაც, ხომ არ შეუშალა ხელი ეგრეთ წოდებულ თუ შეიძლება ითქვას ჩვენს მოქმედებებს რაღაც გარკვეული მიმართულებით, რაც იყო მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანა, ვთქვათ, იცით თქვენ, რომ შეიარაღებული ძალების გარკვეული მოძრაობა ამ მიმართულებით იყო ცხინვალის მიმართულებით, ხომ არ შეუშალა ამან ხელი რუსეთის შეიარაღებული ძალების უფრო ინტენსიურ შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე.

გ.უგულავა. ბუნებრივია, ამაზე კომპენტენტურ პასუხს უფრო სამხედროები გასცემენ, თუმცა მე რა ინფორმაციაც მაქვს ეს ერთი მეორეზე ამის დაყვანა რომ მაინცდამაინც იმ ორ საათში მოხდა შემოსვლა დიდი რაოდენობის და ვთქვათ, მესამე საათში არა ან მანამდე არა, ეს არასწორია, არც ერთი ინფორმაციით ეს არ დასტურდება. და მეორე. რაც მთავარია, სამოქალაქო მოსახლეობის დახმარება, მე მიმაჩნია, არის უმთავრესი პრინციპი ნებისმიერი საომარი მოქმედებების დროს, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი თუნდაც შესაძლო თეორიული გართულება, რომელიც ამ გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყოლოდა, თუმცა ამ შემთხვევაში მე ვერ და არ დავადასტურებდი, რომ რაიმე სპეციალურად ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა რაიმე გართულება, ეს ამად ღირს. იმიტომ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ სამოქალაქო მოსახლეობაზე, ქალების და ბავშვების უსაფრთხოებაზე და მართლაც მოხერხდა რამდენიმე საკმაოდ ბევრი ადამიანის მაგ დროს გამოსვლა, ზოგი ავტობუსით, ზოგი თვითონ და ა.შ. პირველი ნაკადი სწორედ მაშინ წამოვიდა მოსახლეობის და ჩვენ, უბრალოდ, უფლება არ გვქონდა ეს ჩემს პირად აზრს გეუბნებით, რომ ჩვენ არ გვეცადა ეს.
მინდა ასევე აღვნიშნო, რომ სრულად ცეცხლის შეწყვეტა იმ მომენტში არ განხორციელებულა, რადგანაც სროლები იყო, თუმცა ეს დაბალი ინტენსიური სროლები, რომლებიც სწორედ იმ სოფლებს აზარალებდა, აი, ეს სროლები გარკვეულწილად შეწყდა, რამაც მოსახლეობას გამოსვლის შესაძლებლობა მისცა.
მე მაინც მგონია რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, ინიციატივა ისევე ვიმეორებ იყო, მოდიოდა სანაკოევისგან, რომელიც წმინდა ადამიანური, ასე ვთქვათ, მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი, რასაც ჩვენ დავეთანხმეთ და, ბუნებრივია, კონსულტაციაც გავიარეთ ამაზე წინასწარ ბატონ გოგავასთან, რომელმაც თქვა, რომ პირიქით 1–2 საათის განმავლობაში, მოგეხსენებათ ტექნიკა 2 საათში იმდენი რაოდენობით ვერ შემოვა, ამას თავისი ბევრი დრო სჭირდება. თუმცა ასევე, გარკვეულწილად, ჩვენს ჯარს, ეს მისი არგუმენტი იყო, ასე ვთქვათ, ვიხმარ ამ რუსულ ტერმონს "ადიშკა" სჭირდებოდა იმისათვის, რომ შემდგომ, განახლების შემთხვევაში,უფრო მწყობრში ყოფილიყვნენ.
საერთოდ, მერე და მერე პრობლემა სწორედ ეს იყო, ბევრი საუბარია იმასთან დაკავშირებით, იქ, ვთქვათ, ჩვენმა ჯარმა როგორ იბრძოლა. მე არ ვარ სამხედრო. მე შემიძლია ამ შემთხვევაში ვისაუბრო მხოლოდ იმაზე, რაც მე ვნახე. ჩვენმა ჯარმა, მართლაც კარგად იბრძოლა და პრობლემა, სწორედ აი, როდესაც, ესე ვთქვათ, პირდაპირ ბრძოლაზეა საუბარი, იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის რეგულარული არმია იმდენი რაოდენობით

შემოვიდა, რომ მათ ფუფუნება ჰქონდათ იმისათვის, რომ ჩაენაცვლებინათ, რასაც, ჩანაცვლებას ვერ ვახდენდით ჩვენ, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ჯარისკაცების გადაღლა იმიტომ, რომ ყველაფერს თავის სტანდარტი აქვს, მათ შორის, ამ საკითხსაც და ამოიწურა თითოეული ადამიანის რესურსი, საბრძოლო რესურსი იმიტომ, რომ დაახლოებით, საკმაოდ დიდი ხანი, მათ მოუწიათ ბრძოლის მოქმედებებში იმდენად და იქითა მხრიდან, ეს ჩანაცვლება და როტაცია ხდებოდა.
ერთ–ერთი მიზეზი, სხვათა შორის იმისა, რომ მერე უკანდახევაზე ბრძანება იყო, სწორედ ეს იყო იმიტომ, რომ აზრი არ ჰქონდა, იმდენად დიდი რაოდენობის ტექნიკა და ხალხი შემოვიდა და შემოდიოდა და შემოდიოდა. ეს, რაც შეეხება იმ დეტალს იმიტომ, რომ მე სპეციალურად ეს აღვნიშნე და მადლობა თქვენი შეკითხვისთვის იმისთვის, იმიტომ, რომ ძირითადად ფოკუსირებულია ხოლმე ჩემს განცხადებაზე, ანუ ჩემს მიერ ამ განცხადების გახმოვანებაზე, უფრო ზუსტი ვიქნებოდი. თუმცა, ისევ ვიმეორებ, შეგვიძლია ჩვენ ასევე თან დავურთოთ, ამოიღოთ ის ჩანაწერები, პირდაპირი ეთერი, სადაც ეს განცხადება ერთობლივად გაკეთდა სამ ენაზე. სანაკოევის მიერ ოსურად და რუსულად, ჩემს მიერ უკვე ქართულად.

თავმჯდომარე. გიგი, ერთი კითხვა გაჩნდა. ე. ი. გუშინ ბატონ ვარძელაშვილთან საუბრის პერიოდში, ჩვენ მოვისმინეთ, რომ პრეზიდენტის რწმუნებული, რომელიც იყო ამ რეგიონში, ის ხელმძღვანელობდა შტაბს გარკვეული მიმართულებით და ვთქვათ, მისი კომპეტენციის ფარგლებში იყო ეს შტაბი ჩამოყალიბებული, რაც მან აღნიშნა და მინდა თქვენ დაგისვათ კითხვა, აი, თქვენ აღნიშნავთ, რომ ჩვენ გადაწყვეტილება მივიღეთ და ვმოქმედებდით. საუბარი არის ამ კონკრეტულ, ვთქვათ, იმ . . კითხვები რომ არ იყოს, კონკრეტულად ამ საშტაბო, პირობითად შტაბზე ვიძახი იმიტომ, რომ, როგორც ჩვენ პასუხებით მივიღეთ, რომ სისტემა ამ მიმართულებით, ვთქვათ, გარკვეულია, რომ ჩამოყალიბებული სისტემა . . . იყო, ამაზეა საუბარი, თუ ცალკე იყო რაღაც გარკვეული ჯგუფი თქვენი, როგორც ქალაქის მერის, და იმ რესურსების გამოყენებით, თბილისის რესურსების გამოყენებით, რაც აუცილებელი გახდა ამ სიტუაციაში, სხვა მიმართულებით ეს, მე მანდ ხაზს გავუსვამდი, ბატონ დავით ტყეშელაშვილზეა საუბარი, როგორც სახელმწიფო მინისტრზე ან, რომელიც რეგიონალური მართვითაა დაკავებული, თუ უშიშროების საბჭოს მდივანის ეგიდით ხდებოდა რაღაც გარკვეული ჯგუფის ჩამოყალიბება, რასაც იმას, რასაც თქვენ ხაზს უსვამთ ეხლა....

გ.უგულავა. იმ დღეებში ყველას მეტ–ნაკლებად გარკვეულწილად თავისი, ასე ვთქვათ, ფუნქციები ჰქონდა გადაბარებული და ეხლა, შეიძლება, წმინდად თანამდებობრივად ეს სადღაც დებულებაში, მის თანამდებობრივ დებულებაში არ ეწეროს, მაგრამ, ფუნქციები ყველას საკმაოდ მკაფიოდ ჰქონდა განაწილებული. იყო სამი მიმართულება, პირველი და მნიშვნელოვანი, ბუნებრივია, სამხედრო მიმართულება, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენშტაბი, რომლის შტაბი იყო აბსოლუტურად ცალკე და რომლის შტაბში მხოლოდ სამხედროები იყვნენ. მეორე იყო საერთაშორისო მიმართულება და საერთაშორისო მიმართულებაზე, ბუნებრივია, მუშაობა ძირითადად თბილისიდან მიდიოდა. გორში წასვლას მათსას არანაირი აზრი არ ჰქონდა, იქ კომუნიკაციაც კი რთული იყო, მოგეხსენებათ, და მას ხელმძღვანელობდა ლომაია და ეკა ტყეშელაშვილი. ეკა, თუ არ ვცდები იმ პერიოდში სადღაც გაიგზავნა კიდეც, მე ასე დეტალები არ ვიცი, ისე, ის დღეები, მე თარიღების დაზუსტება ყოველთვის მიჭირს, იმიტომ, რომ ...ალბათ, ბევრისგან მომისმენია იმ დღეებში, თითქოს, ერთი გრძელი დღე იყო, ისეთი განცდა ჰქონდა თითოეულ ადამიანს იმიტომ, რომ დღე, ღამე ყველაფერი არეული იყო, მოგეხსენებათ. და შემდეგი მიმართულება იყო, ეს ადგილობრივი სამოქალაქო მიმართულება. და ერთი მიმართულება იყო ეკონომიკური მომარაგება და ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირების გაგრძელება დანარჩენი ტერიტორიის. შესაბამისად, ამ ბოლო ფუნქციაზე პასუხისმგებელი იყო, ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრი და ეკონომიკური ბლოკი იქ ძაან აქტიურად მუშაობდა, უნდა აღინიშნოს.

თავმჯდომარე. და თქვენც..... ალბათ, ხომ, მასთან.

გ.უგულავა. გეტყვით,გეტყვით. იქ ძაან აქტიურად მუშაობდა ფინანსთა მინისტრი და ენერგეტიკის მინისტრი. პრაქტიკულად, ენერგეტიკის მინისტრის დამსახურებაა ის, რომ ჩვენ, ვთქვათ, ენერგომომარაგების, იმიტომ, როდესაც უკვე გაიჭრა ქვეყანა და კომუნიკაცია დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილს შორის არ იყო, ბენზინის და ძირითადი ენერგოპროდუქტების პრობლემა არ შექმნილა ქალაქში. ამასთან ძაან აქტიურად მუშაობდა გილაური და კოორდინაციას, ბუნებრივია, უწევდა პრემიერ-მინისტრი, ჩემგან ამ შტაბში მივლინებული იყო ჩემი მოადგილე ახვლედიანი. და სხვათა შორის, მინდა ასევე თქვენი კოლეგების დამსახურება აღვნიშნო. მაშინ, როდესაც უკვე პირველი ნაკადი მოაწყდა ლტოლვილების თბილისს, ძალიან აქტიურად მუშაობდა თბილისის დეპუტატები. მათ, ეხლაც მინდა ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო მელაძეს, გიორგის, რომელიც, პრაქტიკულად, ამ შტაბში იყო და ამ დევნილების უზრუნველყოფაზე იყო და აჩიკო გეგენავა და ასე შემდეგ, ყველა მაჟორიტარი თბილისის და ძალიან ბევრი დეპუტატი იყო აქ ჩართული ყველა იმ თავის შესაძლებლობის ფარგლებში. განსაკუთრებთ გამოვყავი ესენი იმდენად, მათ საკვანძო საკითხების მოწესრიგება... პრაქტიკულად, ჩვენ შევძელით ორ თუ სამ დღეში ამხელა დიდი რაოდენობა ხალხისთვის კვების უზრუნველყოფა, შემდეგ უკვე საწოლებით, შემდეგ ბალიშით და ასე შემდეგ, ასე შემდეგ. მე კობაზე არ ვისაუბრებ, კობა, ბუნებრივია, ისედაც ჩართული იყო იმიტომ, რომ წარმოდგენა მოსახლეობაში დარჩენილი იყო, თითქოს, ის ისევ მინისტრია, თუმცა, მაშინ დეპუტატი იყო. ამიტომ ყველამ საკმაოდ აქტიურად იმუშავა და სახელისუფლებო ვერტიკალმა იმიტომ,

რომ პირველი დარტყმა, ასე ვთქვათ, ლტოლვილების ნაკადის მიიღო სწორედ თბილისის მერიამ. თუმცა, მე აქ მინდა აღვნიშნო, მე მაინც ძირითადად, ასე ვთქვათ, თბილისში, გორში ვმოძრაობდი. აქედან გამომდინარე, ეს საქმე, ძირითადად, აქ დევნილებთან მიმართებაში ერთიან შტაბში ჩემგან დელეგირებული იყო ჩემს მოადგილეზე მამუკა ახვლედიანზე და სხვა მოადგილეებზე, ნიკო ხაჩირიშვილზე და, როგორც გითხარით, აქტიურად იყო ჩართული გიორგი მელაძე და აჩიკო გეგენავა და კობა სუბელიანი. და მე მიმაჩნია, რომ მათ მართლაც კარგად იმუშავეს ამ მიმართულებით, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი. მე ჩემი ფუნქცია, და მე ბატონი გოკას შეკითხვაზე გადავალ, იყო შემდეგი: მე, ერთი მხრივ, ბუნებრივია, ამ ეკონომიკურ შტაბთან მუდმივი ურთიერთობა მქონდა და უკვე შემდეგ, როდესაც საომარი მოქმედებები შეწყდა, მე მთლიანად უკვე აქეთ გადმოვერთე და მთლიანად უკვე დევნილების, იძულებით გადაადგილებული პირების დახმარება იყო მთავარი პრიორიტეტი მთელი ორი თვის განმავლობაში ქალაქის მერიის. მანამდე მე მქონდა რამდენიმე ფუნქცია. ერთი – სამოქალაქო შტაბი და სამოქალაქო მხარე გორში და შიდა ქართლში. აქ ჩვენ ერთად, მე .....

თავმჯდომარე. ..... დავაზუსტებ, თქვენ განკარგავდით აი, ამ
სამოქალაქო .... ხომ?

გ.უგულავა. მე, იცით, რა არის? ხელმძღვანელობა ფორმალური, ასე ვთქვათ, საკითხი, მე არ დავიბრალებ ხელმძღვანელობას, მაგრამ როდესაც,მ დაახლოებით, 200 თბილისის მერიის მძღოლი თავისი ავტობუსით, დაახლოებით, 300 .....

თავმჯდომარე. მაშინ .....

გ.უგულავა. პრაქტიკულად, ...

თავმჯდომარე. სხვანაირად დავსვამ, ბატონო გიგი, კითხვას. ესე იგი, მაშინ თქვენ მოქმედებდით თქვენი ინიციატივით, რადგანაც რესურსები იყო ჩართული თბილისის ძალიან სერიოზულად თუ იგივე, ვთქვათ, დავალება გქონდათ პრემიერ-მინისტრისაგან კონკრეტულად აი ამ სამოქალაქო, აი ეს რომ გავმიჯნოთ.

გ.უგულავა. ამის შესახებ მე დავალება მივიღე პრეზიდენტისგან, ვინაიდან, თქვენ იცით, რომ, ასე ვთქვათ, ყველა ბიუროკრატიას თავისი მუშაობის სპეციფიკა აქვს და უმჯობესია სწრაფი მუშაობისთვის. ძალიან ძნელია, ახლა, ვთქვათ, ვიღაცა გადაიყვანო ვიღაცის დაქვემდებარებაში. ყოველთვის შეიძლება იყოს, ვიღაცამ ბოლომდე არ გააკეთოს რაღაც, ამიტომ აუცილებელი იყო ჩემი იქ ყოფნა იმისათვის, ჯერ ერთი, მე ჩემს თავს ვერ მივცემდი უფლებას, რომც არ ყოფილიყო დავალება იმიტომ, რომ სასწრაფო სამსახური, რომელიც თბილისის მერიას ეკუთვნის, ნახევარზე მეტი შემადგენლობა იქ იყო. ავტობუსები თბილისის და მძღოლები ნახევარზე მეტი იქ იყო, სახანძრო სამსახური, პრაქტიკულად, ნახევარზე მეტი იქ იყო. აქედან გამომდინარე, ეს, დაახლოებით, 600, 700, 800 თანამშრომელი თბილისის მერიის იყო იქ და, ბუნებრივია, მე ვერ მივცემდი ჩემს თავს უფლებას, რომ მე არ ვყოფილიყავი მათ გვერდით იმიტომ, რომ, ისევ ვიმეორებ, ეს ხალხი ყველაზე რთულ პერიოდში იყო იქ და მართლა ძაან მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს.

თავმჯდომარე. ბატონო გიგი, მე თქვენი მესმის იმიტომ, რომ სოხუმის ომის დროს ბატონი კოტე გაბაშვილი, როგორც თბილისის მერი, სოხუმში იყო მთლიანად და მე, გასაგებია, რომ საბრძოლო მოქმედებების დროს ეგეთი რაღაცა...

გ.უგულავა. და გარდა ამისა, აუცილებლობა მართლაც იყო. მე, უბრალოდ, ერთ ეპიზოდს მოვყვები, რომელიც საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად, შეიძლება, არის ცნობილი. უბრალოდ, მე მოვყვები მთლიანად იმიტომ, რომ ეს გაშუქდა. ეს იყო 9 დილით. სატანკო დაიბომბა უკვე 9-ში, ხომ? 9 იყო. ეს თარიღები მერევა, ამიტომ შეიძლება ავურიო. 9-ში დილით, როდესაც, ნუ, იქ გორის გარშემო ეს თვითმფრინავების ზუზუნი არ წყდებოდა. 9-ში დილით ჩამოვარდა, ასე ვთქვათ, დაეცა სატანკოს, გორის სატანკო ბაზას. ეს შემოსასვლელში არის, ცნობილი კორპუსების გვერდზე რომ არის. ამ დროს მე ვიყავი გორში, ქალაქში და გადავჯექი თქვენი კოლეგის, სოსო ქუთათელაძის მანქანაში და წავედით სატანკოსკენ. ჩვენ შევედით სატანკოში. ჯერ დაბომბვა, ორ ეტაპად განხორციელდა, იქ ასე ტრიალებდნენ სულ და შემდეგ, როცა შევედით სატანკოში, იქ იყო დარჩენილი რამდენიმე ბენზინმზიდი მანქანის. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ, თუ არ ვცდები, არ მახსოვს, მძღოლებს. საკმაოდ დაბნეულები იყვნენ. ამიტომ მე და სოსოს მოგვიწია საკმაოდ აქტიურად, რომ უნდა, დაბომბვა აუცილებლად განმეორდებოდა. ამიტომ მოვუწოდეთ ამ ხალხს საკმაოდ ენერგიულად, აქტიურად, აქტიურად და ხმამაღლა, რომ ჩამჯდარიყვნენ მანქანაში და გაეყვანათ მანქანები და ნებისმიერი მიმართულებით სადმე, ხის ქვეშ დაემალათ იმიტომ, რომ იქ იყო კონცენტრირებული რამდენიმე ბენზინმზიდი და იქ რომ იმას დასცემოდა, მანქანას, ფატალური შედეგები წავიდოდა. იქ ცეცხლს ვერ ჩააქრობდა უკვე ვეღარავინ. ესეც მოხდა. ისინი დაიძრნენ, მანქანები გავიდნენ, ამის შემდეგ უკვე სოსო წავიდა და მოხდა შემდეგი კიდევ დაცემა და უკვე დაეცა კორპუსს. პრაქტიკულად, მე, დაახლოებით, ჩემგან ეს მოხდა, ალბათ, 100 მეტრში სადღაც, დაახლოებით,

არ ვიცი ზუსტად, ესე ვერ დათვლი, და იქ იყო საშინელი პანიკა, იყო ცეცხლი, ბუნებრივია, და მაშინ იყო ის, რომ მე ვურეკავდი პარალელურად, დაკავშირება ძაან ძნელი იყო, ადგილობრივ ლადო ვარძელაშვილს იმისათვის, რომ ადგილობრივი სასწრაფო თუ ნებისმიერი ის მოსულიყო. პარალელურად მე, ბუნებრივია, პირდაპირ დავურეკე თემურ გიორგაძეს, თბილისის სახანძროს, ჩვენს თანამშრომლებს, რომ, პრაქტიკულად, რომლებმაც მერე ჩააქრეს და რომლებმაც, რომლებთან ერთად ჩვენ ყველამ გამოვიყვანეთ დაზარალებულები და, სამწუხაროდ გარდაცვლილები. სხვათა შორის, იყო, მე მგონი, ამაზე შეკითხვა, ყოველ შემთხვევაში, მე სადღაც წავიკითხე, რომ განკარგულებებს გასცემდა სამხედროსო. სამხედრო განკარგულება ნამდვილად არ იყო, თუმცა, გვერდზე მაყურებელს შეიძლება შექმნოდა შთაბეჭდილება, რომ ეს სამხედროები იყვნენ ანუ რეგულარული არმია, მაგრამ სინამდვილეში ესენი იყვნენ რეზერვისტები, დაახლოებით, 20 რეზერვისტი. იქვე, გორში მობილიზაცია მოვახერხეთ, თუმცა, იმისათვის, რომ მოგვხმარებოდნენ დაჭრილების ამოყვანაში. პარალელურად მიდიოდა ცეცხლის ჩაქრობა, მაგრამ, ასე ვთქვათ, ფიზიკური ძალა იყო აუცილებელი იმისათვის, რომ ამოგვეყვანა, დაახლოებით, მე მგონი, სამი მიცვალებული ამოვიყვანეთ მაშინ და რამდენიმე დაჭრილი და ცოტა ისეთი, უხეში საუბარი მე მქონდა ამ რეზერვისტებთან, იმიტომ, რომ პანიკა შეინიშნებოდა მათში და, ნუ, აუცილებელი იყო, ეგეთ დროს გარდაუვალია, რომ ცოტა ხმას უნდა აუწიო, იმისათვის, რომ ცოტა, ასე ვთქვათ, დაუდუღო ნერვები, რის შემდეგაც ჩვენ ყველამ ერთად შევძელით იმ მომენტში ის, რაც მაქსიმუმის გაკეთება იყო შესაძლებელი. ამოცანა იყო ორი, ეს იყო ცეცხლის ჩაქრობა, რაც სახანძრომ ოპერატიულად მოახერხა, მით უმეტეს მოხერხდა კიდევ უფრო მეტის გადარჩენა, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში იქნებოდა. გორის მუნიციპალიტეტს სახანძრო, პრაქტიკულად, ძაან სუსტი ჰყავს. ამიტომ მერეც უკვე, ერთი თვის განმავლობაში, ტყეების ჩაქრობა იყო თუ სხვა რამეზე, მთლიანად თბილისის სახანძრო უკვე იქ იყო მუდმივად მიმაგრებული. აი ეს იყო ის მომენტი, როდესაც მე მქონდა, თუ ამას სამხედროებთან შეხება ჰქვია, მაგრამ მე არ დავუძახებდი ამას სამხედროებთან. საერთოდ მიმაჩნია ერთი, ჩემს მოსაზრებას გეტყვით, ის, რომ რეზერვისტებს რომ ჰქონოდათ, საერთოდ, რეზერვის იდეამ გაამართლა თუ არ გაამართლა, ამაზე ახლა ბევრს კამათობენ. მე მაინც მიმაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაში დასკვნის გაკეთება ძაან ძნელია. იმიტომ, რომ რეზერვი აი ასეთი ტიპის ომისთვის არ არის გამოსადეგი. თუმცა, ალბათ, ხარვეზები მაგ მიმართულებით მაინც არის ბევრი და ამას უფრო საექსპერტო სჭირდება. მეც ვიტყვი, რომ თუ ასეთი რამე იარსებებს, ალბათ, სასურველია, რომ განსხვავებული ფორმა ჰქონდეთ იმიტომ, რომ აი, გავრცელებული კლიშე, რომელსაც, სხვათა შორის, ბევრი ჩვენი არაკეთილმოსურნე ავრცელებდა, რომ აი, ჯარი გამოიქცა, ჯარი მორბოდა და იქაა ესე უწესრიგობა. მე შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა იმიტომ, რომ მე ბოლომდე იქ ვიყავი. ჯარი რომ ჩამოვიდა თბილისში, მე მერე ჩამოვედი. სხვა მიზეზებზე, მე ამას მოვყვები, თუ საინტერესო იქნება თქვენთვის, მაგრამ ჯარი გამოვიდა და ჯარის უკანდახევა იყო საკმაოდ მწყობრი და...

თავმჯდომარე. (არ ისმის).

გ.უგულავა. კი, მაგრამ პრობლემა მართლაც იყო, ოღონდ რეზერვისტებთან მიმართებაში, მაგრამ... და ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც უყურებდა გვერდით თვალით, ჩვეულებრივი ფორმა აცვია, იმას ის ჯარისკაცი ჰგონია. ამიტომ ეს კლიშე გავრცელდა მთლაინად ჯარზე, მაშინ, როდესაც ეს ეხებოდა კონკრეტულად რეზერვისტებს. მე აქვე აღვნიშნავ, რომ მე რამდენიმე ადამიანი გავიცანი იქ და ძაან ვაჟკაცი. ამიტომ ესე ხელაღებით რომ ვთქვათ, რომ აი ამ სისტემამ, შეიძლება სისტემამ არ იმუშავა, იქ რამდენიმე მართლა, მართლა იყო ბევრი პანიკაში, შეიძლება, მაგრამ რამდენიმე მართლაც, ღირსეული ადამიანი იყო, რომელმაც თუნდაც, აი იგივე აი დაბომბვის მერე მიცვალებულების ამოყვანა და ცეცხლმოკიდებულ სახლში შესვლა, როდის რა ჩაინგეროდა, კაცმა რომ არ იცის. ამასაც გამბედაობა სჭირდება. ამიტომ, მე მაიც მიმაჩნია, რომ გარკვეულწილად ამ რეზერვმა თავისი ფუნქცია შეასრულა. თუმცა, ალბათ, არსებითი მოდიფიკაცია, ამას მე ვამბობ იმიტომ, რამდენადაც ჩვენთანაც აქვს მას შემხებლობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან, გარკვეული მოდიფიკაცია ამ სისტემას სჭირდება.

თავმჯდომარე. ბატონო გიგი, დიდ მადლობა. რაც შეეხება რეზერვის სისტემას, რა თქმა უნდა, ეს ასახული იქნება დასკვნებში და აქ რეზერვისტების მიმართ მართლაც არავის არა აქვს პრეტენზია. აქ არის საუბარი სისტემურ მუშაობაზე და გენერელური შტაბის უფროსმა ხაზი გაუსვა იმ ხარვეზებს რომელიც იყო, რაც მნიშვნელოვანია.

გ.უგულავა. უკაცრავად, კონკრეტული რეზერვისტის მიმართ, შეიძლება იყოს, მაგრამ ეგრე ნებისმიერი ადამიანის მიმართ შეიძლება იყოს.

თავმჯდომარე. ეს კომისიის კვლევის საგანია, არა ამისთვის სხვა ორგანოები მუშაობენ იმ მიმართულებით, რაც იყო, ბატონო გიგი, თქვენ აღნიშნეთ, რომ იმყოფებოდით გორში, იმყოფებოდით გარკვეულ აფეთქებებთან დაკავშირებით . მე მინდა, გკითხოთ თქვენ, როდესაც
გახდა საშიშროება თბილისისკენ წამოსვლის აგრესორების და ჩანდა მათი მხრიდან, ვთქვათ, აგრესია , ეხლა მე პოლიტიკურ მხარეზე არ ვსაუბრობ, ამაზე მუშაობდა ხელისუფლება და ჩვენი მეგობრები საერთაშორისო, რომელთაც გარკვეული წილი, ლომის წილი მიუძღვით იმისათვის, რომ შეჩერებულიყო ყველაფერი თქვენ,

როგორც ქალაქის მერმა, რა ღონისძიებები დაგეგმეთ, ვთქვათ, გქონდათ თუ არა დრო ამისათვის, რომელიც, სწრაფად ვითარდებოდა მოვლენები და შემუშავებული გქონდათ თუ არა სისტემა, როცა თქვენ ხედავდით გორში, უკვე როგორ ვითარდებოდა მოვლენები ამ მიმართულებით. თქვენ, ალბათ, ჩანს, თქვენი პასუხები და .... გორში, ვინ მუშაობდა თბილისში ამ მიმართულებით, თქვენი მოადგილე ან გქონდათ თუ არა თქვენ კოორდინაცია ამ მიმართულებით.

გ.უგულავა. პირველ რიგში, თუ ჩვენ ვსაუბრობთ თბილისის თავდაცვის გეგმაზე ...

თავმჯდომარე. აქ ყველაფერზეა საუბარი ...

გ.უგულავა. კი, მე მოგახსენებთ. ასე ვთქვათ, ეს რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. თავდაცვის ნაწილი, ბუნებრივია, თავდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა, თუმცა, თავდაცვის სამინისტროს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს სწორედ აი ასეთ შემთხვევაში, და ამ ლოჯისტიკას დავუბრუნდები იმიტომ, რომ შეკითხვა იყო. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ლოჯისტიკაში უკვე
აქტიურად ჩაერეოდა ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგრამ არ ვგულისხმობ ამ შემთხვევაში მე სამხედრო ლოჯისტიკას. მაგალითად ქალების მერე ქალაქის დაცვის დროს არსებობს
გეგმა იქ, ვთქვათ, შეიძლება უნდა ბლოკ–პოსტი გაკეთდეს, იქ "ზოტები", იქით, – ვთქვათ, სინკარებია საჭირო ჩასახერგად და ასე შემდეგდა ასე შემდეგ. ამას ყველაფერს სჭირდება მობილიზება, ამას სჭირდება ყველაფერს რომელი გეგმის მიხედვით, ამ გეგმას, ბუნებრივია, თავდაცვა ადგენს. ეს არ
არის სამოქალაქო ფუნქცია, მაგრამ ამას განხორციელება სჭირდება, ამას ტექნიკა სჭირდება და ასე შემდეგდა ასე შემდეგ. ბუნებრივია, ამაზე ყველაფერზე პასუხისმგებელი ვიქნებოდით და ვიყავით ჩვენ და ამ მიმართულებით მე შემიძლია ვთქვა, უკვე მას შემდეგ, როდესაც უკვე ჩვენი ჯარი გამოვიდა, უკან დაიხია და განლაგდა თბილისში, მათ აი ასეთი ტიპის უზრუნველყოფას უკვე აი ამ
მომენტში, ბუნებრივია, ადგილობრივი თვითმმართველობა ანუ ჩვენ, თბილისის
მერია, ვახორციელებდით. თუმცა, მერე ამის საჭიროება უკვე რეალური იმპლემენტაციის არ დადგა. პირველი, რაც საჭირო იყო, ბუნებრივია, მათი დროებითი დისლოკაციის ადგილების მოწესრიგება. მოგეხსენებათ, ჯარი დროებით დისლოკაციის ადგილებში თბილისში და თბილისის შემოგარენში იმყოფებოდა ერთ კვირაზე მეტი. ამიტომ იქ ელემენტარული პირობების შექმნა ჩვენი პირდაპირი მოვალეობა იყო, ფუნქციურიც და ისეც, ბუნებრივია, ადამიანურიც. ამიტომ იქ გაკეთდა მაქსიმუმი იმისათვის, რომ ჯარს მინიმალური საარსებო პირობები ასეთ საველე პირობებში ჰქონოდა. ეს არის თბილისის შემოგარენში.

რა თქმა უნდა, გეგმა იმისთვის, რომ, ვთქვათ, სად რომელი სინკარი დაიდოს, სად რომელი "ძოტი" მოეწყოს, ამის გეგმა იყო და ეს ჩვენ გავიარეთ მანამდე. თუმცა, ეს მანამდე, არა ამ მოვლენებამდე, არამედ ზოგადად ამის შესახებ მე ვიცოდი იმიტომ, რომ რამდენჯერმე გაგვივლია. იმიტომ, რომ, ბუნებრივია, ასეთი რამეები, როდესაც რაიმეს ხელმძღვანელობ, თანამდებობიდან გამომდინარე უნდა იცოდე. უბრალოდ, ამის ამუშავების აუცილებლობა, რომ ჩვენ დაგვეწყო ამ მიმართულებით მობილიზაცია, არ დაგვჭირდა. მობილიზაცია იყო გამოცხადებული ყველა საგზაო, ყველა სამშენებლო, ვისაც კი რა ტექნიკა ჰქონდა იმიტომ, რომ ამას, მანქანა იქნებოდა შესაბამისი . . . მობილიზებული იყო ყველა თავის პარკში, რომელსაც მიმაგრებული ჰყავდა ჩვენი ერთი თანამშრომელი. ძირითადად ამას კოორდინაციას ზედამხედველობის სამსახური უწევდა და საჭიროების შემთხვევაში იცოდა, რომ აქედან, ვთქვათ, მაგალითად, ბეტონის სინკარი უნდა წაეღო და დაედგა იქ, იქიდან უნდა წაეღო, იქ, ვთქვათ, ხრეში აეღო და ა.შ.

თავმჯდომარე. მე ხაზს გავუსვამ, თქვენ რომ თქვით გეგმასთან დაკავშირებით, თანამდებობრივად. ეს საუბარი არის საბრძოლო მოქმედებამდე, საერთოდ . . .

გ.უგულავა. არა, მე ეს გეგმა, თბილისის დაცვის, ასე ვთქვათ, გეგმა, როგორ უნდა გაამაგრო თბილისი, ასე ვთქვათ, ეს გეგმა, ბუნებრივია, არსებობს ეს მზა გეგმები.

თავმჯდომარე. ჰო, ამის თქმა მინდა.

გ.უგულავა. თავდაცვის სამინისტროს აქვს და ეს გეგმა, ბუნებრივია, ეს ჩემთვის, როგორც თბილისის მერისთვის, ცნობილი იყო და...

თავმჯდომარე. და საერთო საფრთხეებზეა საუბარი, არ ეხება კონკრეტულ ამ . . .

გ.უგულავა. არა, ეს კონკრეტულს – არა. ეს ზოგადად უნდა არსებობდეს და არსებობს. ეხლა, სამხედრო თვალსაზრისით ის რამდენად გამართულია, ამაზე მე ვერაფერს ვერ მოგახსენებთ. თუმცა, ალბათ, ეჭვის შეტანა იმაში, რომ ის, ვთქვათ, არ არის ქმედითი, ამაში, რა თქმა უნდა, არ შემიძლია.

რაც შეეხება თბილისს, იმ დროს და, სხვათა შორის, აქ ევაკუაციაზეც არის ხოლმე ხშირად საუბარი. ამ თვალსაზრისით, თბილისის მოსახლეობამ ბეწვის ხიდზე გაიარა იმიტომ, რომ ჩვენ, ერთის მხრივ, გვქონდა, ვუყურებდით რეალურ საფრთხეს, რომ თბილისის გარშემო ერთ დროს, ერთ მომენტში იყო 50 თვითმფრინავი. ანუ როდის რა, რომელი ჩამოვარდებოდა, თან მაღალი, ვთქვათ, ტექნოლოგიური იმით არც გამოირჩევა რუსული თვითმფრინავები, როდის რას ჩამოაგდებდა ან ჩამოვარდებოდა, კაცმა არ იცოდა. რამდენიმე ბომბი თბილისში ჩავარდა. ეხლა ჩანს, რომ მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ეს რაღაც არ ყოფილიყო სამოქალაქო ობიექტი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ დაიბომბა ძალიან ბევრი სამოქალაქო ობიექტი. იმის გამო, რომ უზუსტოები არიან, იმის გამო, რომ სამოქალაქო ობიექტი უნდოდათ თუ რის გამო, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ სამოქალაქო მოსახლეობაში ჩვენ მსხვერპლი გვქონდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, გამოაცხადო ანუ იგივე წარმატებით მაშინ ევაკუაციას ეხლა მთელი მოსახლეობისას ვერასდროს ვერავინ ვერ მოახდენს იმიტომ, რომ ეგერ, ბათუმშიც დაიბომბა, ქობულეთშიც, ფოთში, ნუ, შიდა ქართლში იბომბებოდა და ასე შემდეგ, კახეთშიც რამდენიმე ჩამოვარდა, თბილისშიც. ასე რომ, ეხლა მაინცდამაინც მიგრაცია ჩვენ დაგვეწყო, რომ ეხლა აი, ხალხო აი, იქიდან აქეთ გადადის, არასწორი იქნებოდა და ამით შეიძლება ჩვენ, პირიქით, ფატალური შედეგი მიგვეღო, წასულიყო დიდი პანიკა. ამიტომ ჩვენი ზოგადი პრობლემა არის ის, რომ ეს არ არის მარტო, ვთქვათ, ცალკე ხელისუფლების პრობლემა, ეს არის, სამოქალაქო განათლება, ამ თვალსაზრისით, ჩვენში ძალიან დაბალია. ანუ პირველი, რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა ეს ძაან, ძირითადად, ეხლა მერე, როცა ჰყვებოდნენ, რაღაც აი, ძველი რუსული კინოფილმებიდან ახსოვთ, როგორც იმეებს რომ აკრავდნენ და .....

თავმჯდომარე. აქ ....

გ.უგულავა. ... რაღაც დაახლოებით ესეთ, ესეთ დონეზე. ანუ სისტემატიზირებული, ბუნებრივია, ეს არ არის და ეს ერთ–ერთი ის ხარვეზია, რომელიც იმ გამოწვევების ფონზე, რა გამოწვევებიც ჩვენს ქვეყანას აქვს და ექნება, და ეს შეგვიძლია მზა მაგალითი ავიღოთ ისრაელი. ისრაელში ბავშვობიდან ასწავლიან, თუ რა უნდა ქნას ასეთ და ასეთ, ასეთ კონკრეტულ ვითარებაში. ეხლა ეს ტრადიცია ჩვენთან არ არსებობდა. ეხლა სკოლაში, გახსოვთ, ალბათ, სამხედრო გაკვეთილები რომ გვქონდა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ყველაზე დიდი, ასე ვთქვათ, სასაცილო გაკვეთილები ესენი იყო. ანუ მაშინაც კი არასერიოზული იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში მერე საერთოდ აღარ არსებობდა. ასეა თუ ისე, რაღაცა ფორმით ეს აუცილებელია. სხვათა შორის, რეზერვი იქნება თუ არ იქნება, თუ წვევამდელი იქნება ჯარი თუ არ იქნება, ეს ის ცოდნა–გამოცდილებაა, რომელიც აუცილებლად სჭირდება ნებისმიერ მოქალაქეს. მათ შორის, თუ რეზერვში წავა თუ სამხედრო გახდება. მაგრამ ეს, ალბათ, უკვე ცალკე საგანია ....

თავმჯდომარე. ... რეკომენდაციის .... ასახული იქნება იმ პროგრამაში.

გ.უგულავა. არ ....

თავმჯდომარე. სისტემა ეს ..... განიცდიდეს, სისტემური საკითხი არის ეს.

გ.უგულავა. ეს უკვე ტრადიციის არქონა არის, ალბათ, იმიტომ ეხლა მაინცდამაინც სამი წლის წინ რომც დაგვეწყო ეს, ესე ადვილი ეს არ იქნებოდა. ამას სჭირდება, ალბათ, მთელი სისტემური ზრდა. ისევ ვიმეორებ, ისრაელი არის ბრწყინვალე მაგალითი. მათ აქვთ ეს სისტემა მთლიანად კარგად აწყობილი, შეგვიძლია ძალიან ბევრი ამ თვალსაზრისით ვისწავლოთ.
თბილისს რაც შეეხება, თბილისში მეტროპოლიტენი როგორც, ასე ვთქვათ, ღია ადგილი იმისათვის თუ აი, ესეთი დაბომბვა ხდება, პირველი და, ასე ვთქვათ, მთავარი ბუნკერი, თუ როგორ არის? ბუნკერი არის სწორედ თავშესაფარი, არის სწორედ მეტროპოლიტენია. ამ თვალსაზრისით შესაბამისი დავალებები მეტროპოლიტენის ადმინისტრაციას ჰქონდა და მეტროპოლიტენი იყო ღია იმისათვის, რომ მიეღო, ნებისმიერ მომენტში მოძრაობა შეეჩერებინა იმისათვის, რომ, ვთქვათ, აუცილებლობის შემთხვევაში, ესეც დაწერილი წესები არსებობს, ალბათ, ამ წესებს გადახედვა სჭირდება და თანამედროვე რეალიებთან ადაპტაცია, მაგრამ ასეთი წესები არსებობს, ბუნებრივია, მეტროც ამ... დანარჩენ ქალაქში არის რამდენიმე ობიექტი, რომელზეც ახლა ღიად, მე მგონი, არ ღირს საუბარი, რომლიც, ასე ვთქვათ, მთავრობის სრულფასოვანი მოქმედებებისთვის აუცილებელია, ასე ვთქვათ, გამოყენებულ იქნეს თავშესაფრად. ბუნებრივია, მისი ლოკაცია, ასე ვთქვათ, დაფარული ინფორმაციაა. და ეს ყველა ქვეყანას აქვს და, ბუნებრივია, ჩვენც გვაქვს. მაგრამ ღია, ასე ვთქვათ, ამ თვალსაზრისით ის არ... მეტროს გარდა არის უამრავი წესი, რაც მოქალაქემ უნდა დაიცვას. ბევრი წესები მეც, მაგალითად, გორში ვისწავლე და მეც, ბუნებრივია, არ ვიცოდი.

გ.გაბაშვილი. ბატონო გიგი, ბატონმა ლადო გურგენიძემ გვითხრა, რომ, და ჩვენც ყველა მაგ დღეს, მაგ დღეს მეც თბილისში ვიყავი, ე.ი. 11-ში, როცა ყველაზე მეტად დაძაბული იყო სიტუაცია, აი, ამ დროს, საღამოს საათებში მერიის თანამშრომლები გარკვეულ ობიექტებზე დადიოდნენ და რომ არ ყოფილიყო, ვთქვათ, საპროდუქტო სიტუაციებში პანიკა და იგივე ბენზინგასამართ სადგურებზე, დადიოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ პანიკის საფუძველი არ არის. ეს რამე გენერალიზირებული დავალება იყო ასეთი, რომ ეარათ ობიექტებზე

თანამშრომლებს და ასეთი მუშობა ჩაეტარებინათ, ეს რამე გეგმის ნაწილი იყო თუ რაღაც სპონტანური დავალება იყო?

გ.უგულავა. დავაგროვოთ შეკითხვები თუ დავიწყო? რაც შეეხება, საერთოდ, ასეთ დროს შეიძლება ყველაფერი კარგად იყოს აწყობილი, მაგრამ ერთმა პანიკამ აბსოლუტურად ყველაფერი დაანგრიოს. ამიტომ ასეთ დროს ყველაზე მეტად პრობლემური რაც არის ანუ 80 % პრობლემას წარმოადგენს ხოლმე პანიკა, რა დოზით შეიძლება შეიქმნას პანიკა. ნუ, მეორე მხრივ, ყოველთვის პრობლემაა, რომ აი, და ხშირად მოდის ხოლმე ბრალდებები, ხელისუფლება უმალავდა ამას, იმას არ ამბობდა და ა.შ და ა.შ. მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენ მართლაც ბეწვის ხიდზე გავიარეთ. ეს ხელისუფლება, პანიკა რომ ატეხილიყო თბილისში, ეს აღარ იქნებოდა მარტო ხელისუფლების პრობლემა, აქ მოხდებოდა სრული ჩამოშლა. და გარკვეული პანიკის ნიშნები, უნდა აღინიშნოს, შეინიშნებოდა კიდეც, თუმცა, მეორე დღემ, აი იმ საღამოს მეორე დღემ, მას შემდეგ, რაც მართლაც უამრავი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, მას შემდეგ, რაც ექვსი პრეზიდენტი ჩამოვიდა და ძაან მკაცრი განცხადებები გააკეთა უკვე პრეზიდენტმა ბუშმა, პირველი განცხადებისგან განსხვავებით. სხვათა შორის, მეორე განცხადება იმდენად უფრო მკაცრი და პირდაპირ მითითებული იყო. ყველაფერმა ამან, ალბათ, ერთიანად იმუშავა, რომ ჩვენ თავიდან ავიცილეთ სერიოზული პანიკა, რამაც შეიძლება, რაც შეიძლება უმართავი შედეგებით დამთავრებულიყო. ამიტომ ყველა თანამშრომელს მე პირადად არ შევხვედრილვარ იმიტომ, რომ მე ამ დროს უკვე ვბრუნდებოდი. თათბირი ჩატარდა მერიაში, ყველა სამსახურის უფროსი იყო და ყველა ჩვენი შპს–ები, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობენ და მათ მიეცათ დავალება, ყველა თავისი მანქანით დადიოდა, ძირითადად, მერიის მანქანებს თავისი საიდენტიფიკაციო ლოგო აქვს და ამ დროს ნებისმიერ რამეს ეპოტინება ადამიანი, ოღონდ კი დამაწყნარებელი ინფორმაცია უთხრან. მთავარი ამოცანა იყო, დადიოდნენ, ეუბნებოდნენ, არ არის პანიკის საფუძველი, არ არის. ეს შეიძლება არ იყო საკმარისი, მაგრამ ერთ–ერთი ის ნიშანი იყო იმისათვის, რომ სწორედ რატომ, იმიტომ რომ ერთი მეორეს მოუყვეს, ესეთ დროს აი ტელეფონები არ მუშაობდა, იმიტომ, რომ ერთმანეთს ყველა ურეკავდა, ესეთ დროს ყველა ინფორმაცია, ყველა საშუალებით ვრცელდება ინფორმაცია. რამდენიმე შემთხვევაც იყო, მაგალითად, რომ მივიდა ერთ უბანში ადამიანი, ახლა ჩემი თვალით დავინახე, რომ ხელისუფლება გაიქცა და აბა, წადით. ანუ ასეთი შემთხვევები, კაცმა არ იცის, ვინ იყო და ის ადამიანი გაიქცა, კაცმა არ იცის, ვინ იყო, რა უნდოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი პროვოკაციები თავიდან უნდა აგვეცილებინა. ჯობია, რომ იყო ყოველთვის პროაქტიური, პროაქტიური ნიშნავს, რომ აი ეს, დაახლოებით, 500 თუ 600 კაცი, ვინც მუშაობს, აბა, ჩაჯექით მანქანაში, დადიოდნენ, ელაპარაკეთ ხალხს, რომ არ ხდება საპანიკო, არ არის, შედით სახლებში, სიწყნარე იყოს, სიმშვიდე და სიტუაცია კონტროლის ქვეშაა და ა.შ. ესეც, ბუნებრივია, ზუსტად ისე ვრცელდება, როგორც არასწორი და დეზინფორმაცია, ანუ ამ შემთხვევაში პროაქტიურად ყოფნა, რა თქმა უნდა, ჯობია და პროაქტიური იყო ძაან ბევრი ჩვენი თანამშრომელი და არამარტო, სხვადასხვა უწყებებიც, სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები, რომლებმაც ძაან პროდუქტიულად იმუშავეს იმ დღეებში. კიდევ რამდენიმე შეკითხვა იყო, რომელსაც, მე მგონი, ცხინვალთან დაკავშირებით იყო?

დ.ლორთქიფანიძე. ჩემი შეკითხვებიც დაკავშირებული იქნება სამოქალაქო თავდაცვის საკითხებთან, ბატონო გიგი. პირველ რიგში, გარდა ამისა, რომ თქვენგან პასუხს მივიღებ, ამავე დროს ეს ერთგვარი ინფორმაციის გაცვლაც იქნება, იმიტომ,რომ ჩვენ არა მხოლოდ გუშინდელ დღეზე გვექნება აქცენტი, არამედ ხვალ გასაკეთებელ, ხვალ ჩასატარებელ ღონისძიებებთან მიმართებაშიც. ამიტომ, ვფიქრობ, აქტუალური იქნება, გარდა ამისა, სტენოგრამამ რომ შეიძინოს სრულყოფილი დოკუმენტის ხასიათი და სახე, მინდა დავაფიქსირო ყველა ის ნორმატიული აქტი, რომელიც ჩემს შეკითხვასთან ერთად იქნება დასახელებული. პირველ რიგში, სანამ კითხვას დავსვამ, სხდომის დაწყების წინ მე საშუალება მქონდა ტელევიზიით მენახა სახანძრო რაზმის მეხანძრეების დაჯილდოება, თქვენ მიერ წარმოდგენა და დაჯილდოება მეხანძრეების, ვფიქრობ, სრულიად დამსახურებულად. მათ პირადი გმირობის მაგალითი გვიჩვენა, გვიჩვენეს, როგორც გორში, ისევე სხვადასხვა ქალაქებში, მაგრამ, ამავე დროს ჩემი კითხვა შეეხება რას, იცით, რომ აი რა სამოქალაქო თავდაცვის ელემენტებს შეიცავს დღევანდელი სამსახური. მოგეხსენებათ, დღეს არსებული საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახური შეიქმნა 2006 წლის 21 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით და იმავე წელს თბილისის მთავრობის დადგენილებით. ეს გახლავთ 2006 წლის 15 აგვისტო, N416 დადგენილებით. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურისთვის გადაცემა მოხდა. ანუ ხმარებიდან ამოვიდა ტერმინი "სამოქალაქო თავდაცვა". მთლიანად უწყება, ეს სამსახური ჩამოყალიბდა, როგორც საგანგებო სიტუაციების მართვისა. რეალურად მოხდა ამ სამსახურის ინტერპრეტირება...

გ.უგულავა. ბოდიში, შეგაწყვეტინებთ, თუ შეიძლება იმიტომ, რომ ეხლა ორი სამსახური არსებობს, ერთი არის, რომელიც მერიის საქალაქო სამსახურია, მეორე – რომელიც პრეზიდენტის ბრძანებით შეიქმნა, თუ არ ვცდები, არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილი, ხომ...

დ.ლორთქიფანიძე. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებით მოგახსენებთ. ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, რომელიც არის 1996 წლის

ბრძანებით შექმნილი ჯერ კიდევ. და შემდგომ არის, რამდენჯერმე ცვლილება განიცადეს სტრუქტურული. ამასთან დაკავშირებითაც მოგახსენებთ, ოღონდ...

თავმჯდომარე. და რა ფორმატში, იმიტომ, რომ ეს არ ეხება ეხლა ამ წუთას შეკითხვის ფორმას.

დ.ლორთქიფანიძე. და დიახ, აწერს ხელს ამ დადგენილებას ბატონი თემურ ქურხული, ხოლო კონტროლი დაევალა მის შესრულებაზე ბატონ გიორგი მელაძეს, ჩვენს კოლეგას დღესდღეობით. ჩემი შეკითხვა გაგრძელდება, ბატონო გიგი, იმიტომ, რომ მთლიანად მინდა, რომ მოცული იყოს. კომისიამ მიიღო ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით აგრეთვე, რომ ქალაქის მერიის დაქვემდებარებაში არსებობდა ასეთი ორგანიზაცია "თბილკონტრაქტი", რომელიც ახორციელებდა სამოქალაქო თავდაცვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ბაზის განახლებას. რას ვგულისხმობ, ესე იგი, რა იგულისხმება თავდაცვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებში. ეს არის აირწინაღები, ეს არის სხვადასხვა ეტლები, სხვადასხვა გასაბერი რგოლები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ეს არის მთელი ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრული არის ნორმატიული აქტებით, და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 850 000 აირწინაღი უნდა იყოს დღესაც დაცული საცავებში, მაგრამ არის თუ არა ეს ასე, ეს ჩვენთვის უცნობია. ვინაიდან, თუ სად მდებარეობს ეს საწყობი და სად მოხდა, ამის ის, ჩვენ არ ვიცით. გარდა ამისა, არსებობს საომარი ვითარებისთვის სამოქალაქო თავდაცვის მართვის ოპერატიული პუნქტი, რომელიც აგვისტოს მოვლენებამდე უკვე აბსოლუტურად გავერანებული, გაჩანაგებული, უპატრონოდ მიგდებული იყო მაშინ, როდესაც სამოქალაქო თავდაცვის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, ეს გახლავთ ქალაქისა და ბოტანიკური ბაღის შემაერთებელი გვირაბი, იმ გვირაბში არსებული უზარმაზარი ობიექტი გადაეცა ძალიან საეჭვო რეპუტაციის ღამის კლუბს. აქედან გამომდინარე, მე ვთვლი, რომ სისტემურად მიდგომები, მართლაც თქვენ სწორი ბრძანეთ, არ იყო ესეთი ინსტიტუციონალური იმიტომ, რომ არავინ არ თვლიდა, ალბათ, არავინ არ ელოდა, ალბათ, რომ ამისთანა მასშტაბების წინაშე შეიძლება დავმდგარიყავით. თუმცა, მე ამ ფაქტებს ვასახელებ იმიტომ და კიდევ გავაგრძელებ ფაქტის დასახელებას, თქვენ აღნიშნეთ, რომ თბილისის მეტროპოლიტენები მზად იყო, რომ მოსახლეობა, გეთანხმებით, მაგრამ არ იქნებოდა საკმარისი თბილისის მეტროპოლიტენების მიერ დატევა ამხელა მოსახლეობის და აქვე მინდა გითხრათ, რომ 414 თავშესაფარი არსებობს დღეს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. აქედან მისი დიდი ნაწილი არის პრივატიზირებული. მიუხედავად იმისა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილება 95 წლის, სადაც პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ კატეგორიულად აიკრძალოს თავშესაფრების, როგორც სამოქალაქო თავდაცვის სტრატეგიული ობიექტების, პრივატიზაცია. მიუხედავად ამისა, მე ვთვლი, რომ ეს არის გადახედვის საგანი და ექვემდებარება დეტალურ შესწავლას. ჩემი კითხვაც, შესაბამისად, მდებარეობს იმაში, თუ რა კეთდება, რა მითითებებია გაცემული საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ და ვითარდება თუ არა ეს ინსტიტუტი საქართველოში. გმადლობთ.

გ.უგულავა. მოგახსენებთ. გულწრფელად გეტყვით, ბევრი რამეა ამაზე, ვთქვათ, ძალიან კარგია, რომ ესე ვთქვათ, გამომიძახეთ დაკითხვაზე, რადგანაც ბევრი რამე ჩემთვისაც არ იყო, ეხლა თქვენს მიერ ჩამოთვლილი, ცნობილი. თუმცა, შემიძლია ერთი რამე აღვნიშნო. 414 ობიექტი ნამდვილად არ არის და, სამწუხაროდ, ამ წლების მანძილზე არა მარტო თავშესაფრების, არამედ ბორდიურების და ტროტუარების გაყიდვაც კი ხდებოდა,რაც ძაან ხშირად, ძაან ბევრი მითქმა–მოთქმის საგანი იყო, მაგრამ ეს პრაქტიკა იყო. აბსოლუტურად გეთანხმებით ბოტანიკური ბაღის გვირაბთან დაკავშირებით, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ იჯარით გასცა და ამაზე ჩემი დაჟინებული მოთხოვნა იყო და ეს იჯარა გაუქმებულია არა იმიტომ, რომ იქ, ვთქვათ, ღამის კლუბი იყო ან სხვა რამე, უბრალოდ ამ შემთხვევაში, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი მოსაზრება ეყრდნობოდა წმინდად სამოქალაქო, სოლოლაკელების უამრავი წერილი შემოდის, რომ ეს იყო ერთადერთი შემოსასვლელი ადგილი ბოტანიკურ ბაღში და ხალხი, უბრალოდ, ვეღარ შედიოდა იმიტომ, რომ ძაან მოუხერხებელია იქიდან სიარული. მაგრამ ამ კუთხითაც, ბუნებრივია, ეს წარმოუდგენლად არასწორი გადაწყვეტილება იყო იმიტომ, რომ ისე არის იქ ობიექტი განთავსებული, რომ ადამიანი ვერც შევა, ვერც გამოვა. პრაქტიკულად, ის ჩაიხერგა და იმხელა გვირაბი, რომელსაც თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა და საკომუნიკაციოც ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში, პრაქტიკულად, უსარგებლო აღმოჩნდა. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, მთავარი ამ კუთხით ის, რაც ჩვენ შეიძლება ვისწავლოთ, არის ის, რომ გავზომოთ, რა საფრთხეების წინაშე დავდგეთ შეიძლება თეორიულად. ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ აი ასეთი საფრთხეების წინაშე შეიძლება დამდგარიყო, რომ, ვთქვათ, 414 თავშესაფარი თბილისს სჭირდებოდეს. ნამდვილად ვერავინ ვერ წარმოიდგენდა ვერც 95 წელს და, გულწრფელად რომ ვთქვათ, ალბათ, ვერც 2005 წელს და ვერც 2006 წელს. ამიტომ ბევრი რამის გადაფასებაა, ბუნებრივია, საჭირო ამ მიმართულებით. ბევრი რამე თავიდან დასაწყებია, ბევრი რამე, იგივე, როდესაც თქვენ საუბრობდით ჩვენს ბალანსზე არსებულ რამდენიმე ობიექტზე, მე თვითონ დავინტერესდი, ოღონდ, უკვე ომის შემდეგ, რამდენიმე მათგანში ვიყავი. ახლა, შეიძლება ნახევარი საათით გაჭირვების ჟამს ადამიანი იქ ჩავიდეს, მაგრამ არც მეტი, არც ნაკლები. ამდენად, იქაც მოსაწესრიგებელია ძაან ბევრი რამ. ამ თვალსაზრისით მარტო მერია, ბუნებრივია, ვერ იმუშავებს. ეს არის ძაან კომპლექსური საკითხი და საბოლოო ჯამში, როგორც აღმოჩნდა, და ესეც კარგად გამოჩნდა, ეს ყველაფერი, ყველაზე მეტად გასაკეთებელი არის თბილისში. ვთქვათ, ასეთი რამე არსებობს თუ არა, ვთქვათ, რომელიმე სხვა ქალაქში, კარგია, თუ იარსებებს, მაგრამ საბოლოო ჯამში თბილისს იმიტომ, რომ თბილისით ხდება ქვეყნის ამოყირავება. ამიტომაც იყო ის განზრახვა, რომ რეალურად თბილისის

აღებით იქნებოდა თუ თბილისში პანიკის შექმნით იქნებოდა თუ თბილისში უკმაყოფილების შექმნით, ეს ტაქტიკის საკითხია, მაგრამ თუ ამოაყირავებდი თბილისს, პრაქტიკულად, ხელში ჩაიგდებდი მთელ ქვეყანას. ამიტომ ასეთი რაღაცები სწორედ თბილისში არის საჭირო. მაგაში აბსოლუტურად გეთანხმებით და მე მზად ვარ, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ, ისევ ვიმეორებ, ეს მარტო ჩვენს ხარჯზე ვერ გაკეთდება, არის ერთობლივად გასაკეთებელი.

თავმჯდომარე. თუ არის კიდევ შეკითხვები ბატონ გიგისთან? ბატონო გიგი, ჩვენ, შეკითხვები, ფაქტიურად, არ არის მეტი. მე მინდა გთხრათ, რომ მართლაც აუცილებელი არის იმ ღონისძიებების გატარება, რა ღონისძიებებიც თქვენ აღნიშნეთ და რაც არის პრობლემატური იმიტომ, რომ რეალურად ჯერ აგრესია არ დამთავრებულა და ეს აგრესია, ფაქტიურად, გრძელდება და ამიტომ ყველაფერია გასაკეთებელი იმისათვის, რომ მობილიზირებული იყო სისტემა. მე მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისათვის და ინფორმაციის მოწოდებისათვის და მინდა დავიტოვო იმედად, რომ საჭიროების შემთხვევაში, თუ კომისიას დასჭირდა, გარკვეულად, თქვენი მოსაზრებების და ინფორმაციის მიღება დამატებით, მაქვს იმედი, რომ ჩვენ შევძლებთ კომუნიკაციის საშუალებებით თანამშრომლობას. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგიხდით მობრძანებისათვის. კომისია დღეს წყვიტავს მუშაობას და შემდგომი გეგმის შესახებ იქნება . . . . დიდი მადლობა.

გ.უგულავა. დიდი მადლობა.